ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: კულტურის კვლევები (Cultural Studies)

მისანიჭებელი ხარისხი: **კულტურის კვლევების მაგისტრი / MA in Cultural Studies**

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი.
120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **65 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **კულტურის კვლევათა** სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს.
- **25 ECTS კრედიტი** განკუთვნილია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის.
- **30 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის).

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია, მაგისტრანტს მისცეს ღრმა ცოდნა **კულტურათა კვლევების** სფეროში, მოამზადოს სპეციალისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება შრომის ბაზარზე.
პროგრამა აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს და ავითარებს მათ ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით. იგი მიზნად ისახავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას, კერძოდ, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიური აღქმის ხელშეწყობას, კულტურათაშორისი დიალოგის პრინციპების დამკვიდრებას, რაც გულისხმობს სხვა კულტურების გაცნობას, კულტურათაშორისი განსხვავებების გაცნობიერებას, განსხვავებული კულტურული ტრადიციების პატივისცემას; სტერეოტიპების, ქსენოფობიის და რასიზმის პრევენციას; მრავალფეროვან კულტურულ გარემოში ორიენტაციის, წარმატებული კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი **კულტურის კვლევების** სამაგისტრო პროგრამა ორგანული გაგრძელებაა ძირითადი საბაკალავრო (major) პროგრამისა კულტურის კვლევებში. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ საკითხებს, ასევე კულტურათა კონკრეტული კვლევის მეთოდებსა და მაგალითებს (case studies). სტუდენტმა უნდა გაიაზროს ემპირიული მასალის თავმოყრისა და ანალიზის წესი და მიზანი კულტურის კვლევათა სფეროში. ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების საფუძველზე, სტუდენტი უნდა დაეუფლოს კულტურის ფენომენის ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს, გაიაზროს კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს საშუალებას აძლევს, გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს კულტურის კვლევათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას.
პროგრამა ამზადებს სტუდენტს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად კულტურის კვლევათა სფეროში.
პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ცოდნის გაღრმავებით თეორიულ სფეროში, მისი გამოყენებით კონკრეტულ კულტურათა კვლევასა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი კულტურის კვლევებში, ასევე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში და მათ დარგებში/ქვედარგებში, განათლებაში, ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში რეგიონმცოდნეობითი პროფილით (ამერიკისმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია...); ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა კულტურის კვლევებში.
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა კულტურის მეცნიერებების საფუძვლებში (ცნებები, მიმართულებები, სკოლები).

სწავლის შედეგი:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **კულტურის კვლევების** სამაგისტრო პროგრამის ერთიანი სწავლის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

ცოდნა და გაცნობიერება:

კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე **კულტურის კვლევების მაგისტრი** იძენს დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავების და კვლევის კონტექსტში მისი გამოყენების, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას იძლევა. თეორიული მიდგომების დაუფლების, სასწავლო კურსების შესწავლის საფუძველზე, მაგისტრანტი ეუფლება მეცნიერული კვლევის მეთოდებს, იღრმავებს წარმოდგენას კულტურის კვლევის ინტერდისციპლინურ ხასიათზე, ეცნობა ძირითად პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს თანამედროვე კულტურის მეცნიერებებში. ამ ცოდნას იგი იყენებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

1.1	კულტურის ფენომენის შესახებ მეცნიერული ცოდნის, კვლევისას გამოყენებული სამეცნიერო აპარატის ჩამოყალიბება, სამეცნიერო დისციპლინათა წარმომადგენლების ნააზრევი, რომლებიც საფუძვლად დაედო კულტურის კვლევათა ჩამოყალიბებას ცალკე დარგად; ძირითადი ცნებებისა და ტერმინების შინაარსი, სამუშაო (ოპერაციული) დეფინიციისა და მისი შერჩევის არსი.	ცნებითი აპარატი და ძირითადი კონცეფციები კულტურის მეცნიერებებში
1.2	ისტორიული პროცესის კულტურული კონტექსტის როლი და მნიშვნელობა, მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელთაც დაემყარა კულტურის კვლევათა ისტორიული დისკურსი, ძირითადი მიმდინარეობები და დისკუსია სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის	ისტორიული პროცესი და კულტურის კვლევები: მეთოდოლოგიური საფუძვლები (სავალდებულო)

	წარმომადგენელთა შორის. მეთოდოლოგიური პრობლემები, რომლებიც დღეს კულტურის მეცნიერებათა წინაშე დგას; კულტურის ფენომენის ისტორიული კვლევის სფეროში დაგროვილ მეთოდოლოგიური გამოცდილება; მეთოდოლიგიური პლურალიზმის მნიშვნელობა კულტურის მეცნიერებათა განვითარებისათვის.	
1.3	კულტურის პოლიტიკის არსი, მიზნები, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა, კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბება და სამართლებრივი საფუძვლები, კულტურის პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაცის სფეროში, განათლების სფეროში, კულტურის პოლიტიკა მულტიკულტურულ საზოგადოებაში, ენობრივი პოლიტიკა, იდენტობის პოლიტიკა, რეგიონული იდენტობების კონსტრუირება	კულტურის პოლიტიკის საფუძვლები (სავალდებულო)
1.4	თეორიული და ემპირიული კვლევის მეთოდები და მათი პრაქტიკული გამოყენების ხერხები სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში; კვლევის დაგეგმვის, ორგანიზების, მიღებული შედეგების ზეპირი და წერილობითი გადმოცემის ფორმები და წესები; აკადემიურ სფეროში დამკვიდრებული ქცევის, მეტყველების, წერის, საჯარო გამოსვლის ფორმა და სტილი; კანონები, რომლებიც სამეცნიერო გამოცემებში (პუბლიკაციებისათვის) არის დადგენილი.	აკადემიური წერა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი (სავალდებულო)
1.5	ინტერკულტურული კვლევის საფუძვლები, მისი არსი და მნიშვნელობა; კვლევის კომპარატივისტული მეთოდი; ინტერკულტურული კომუნიკაციის არსი, კულტურათაშორისი ურთიერთობების შესაძლებლობები და დონეები, ამ პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მათი გადალახვის შესაძლებლობები; კულტურათაშორისი თარგმნის პრობლემა; ინტერკულტურული დიალოგის როლი უსაფრთხოების საკითხში.	ინტერკულტურული კვლევები (სავალდებულო)

1.6	დასავლეთისა და აღმოსავლეთის ოპოზიცია, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცნებების გაგება, დასავლეთისა და აღმოსავლეთის განსხვავებული აზროვნების ფორმები და მათი ურთიერთმიმართება, შუა საუკუნეების საზოგადოებრივი ფენები და ინსტუტები სხვადასხვა სივრცეში - აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპასა და მუსლიმურ სამყაროში, ამ ინსტუტუციათა ფუნქციონირების თავისებურებანი და მსგავსებანი.	დასავლეთი და აღმოსავლეთი: შედარებითი კვლევის საფუძვლები (სავალდებულო)
1.7	ბიზანტიის სახელმწიფოსა და ბიზანტიური საზოგადოების დამახასიათებელი თავისებურები, ბიზანტიური სახელმწიფოს მართვის სისტემა, სამართალი, დიპლომატია, საერო და სასულიერო ხელისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებანი, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება, საეკლესიო ლიტურგია და სამეფო ხელისუფლება, ბიზანტიური აზროვნების ფორმა და მისი თავისებურებანი, ბიზანტია და ისლამური სამყარო, ბიზანტია და კათოლიკური სამყარო, ბიზანტიური ფენომენი თანამედროვე დიპლომატისა და აზროვნებაში	ბიზანტიური ცივილიზაცია (ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებანი) (არჩევითი)
1.8	ცივილიზაციათა თეორიის არსი და ძირითადი ასპექტები, რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემასთან დაკავშირებული უმთავრესი მოსაზრებანი, ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიის არსი, მისი მეცნიერული მნიშვნელობა და პოლიტიკური კონტექსტი	რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა (არჩევითი)
1.9	კავკასიაში კულტურებისა და რელიგიების გავრცელების თანამედროვე სურათი და ისტორიული დინამიკა, მიმდინარე პროცესების კულტურული და რელიგიური საფუძვლები	კულტურა და რელიგია კავკასიაში (არჩევითი)
1.10	პოსტ-საბჭოთა კავკასიის კონფლიქტების ანალიზი კომპარატივისტულ კონტექსტში, ელიტების და მათი ორგანიზაციების როლი რეგიონის თითოეული კონფლიქტის შემთხვევაში;	კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები (არჩევითი)

	საბჭოთა პოლიტიკის როლი უმცირესობების ინსტიტუტების მშენებლობის კონტექსტში, პოსტ-საბჭოთა პერიოდში ამ ინსტიტუტების მანიპულირება უმცირესობების ნაციონალური ორგანიზაციებისა და მათი ელიტების მიერ, შიგა და გარე "ორგანიზაციების" როლი კომპარატივისტულ ჭრილში	
1.11	თანამედროვე მსოფლიოში კულტურული იდენტობისა და თვითიდენტიფიკაციის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, კულტურული იდენტობების ფორმირების საკითხი პოსტკოლონიურ ეპოქაში, გლობალიზაციისა და იდენტობის, მშობლიური ენისა და იდენტობის ურთიერთმიმართების საკითხები, იდენტობის კრიზისის განმაპირობებელი ფაქტორები და ახალი, დასავლეთის ალტერნატიული იდენტობების ჩამოყალიბების პროცესი	კულტურული იდენტობის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში (არჩევითი)
1.12	მოდერნიზაციის არსი, მოდერნიზაციისა და კულტურის ფენომენთა ურთიერთმიმართების საკითხი, შესასწავლ პრობლემათა ფარგლებში გამოყენებული ცნებები და კატეგორიები, მოდერნიზაციის პროცესში ქართული კულტურის განვითარების პრობლემები, დასავლურ და არადასავლურ კულტურებში მიმდინარე პროცესები, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში მცირე კულტურების ადგილი	კულტურა და მოდერნიზაცია (არჩევითი)
1.13	კულტურებში ისტორიის ორგანიზების, წარსულის დამახსოვრებისა და აღქმის თავისებურებანი, მეხსიერების კვლევის სფეროში არსებული ძირითადი ცნებები და თეორიები, წარსულიდან დასამახსოვრებელი ინფორმაციის შერჩევისა და ინტერპრეტაციის სოციალური და კულტურული განპირობებულობა, წარსულის დამახსოვრების სხვადასხვა ფორმა და დროში მათი ცვალებადობა, ისტორიისა და წარსულის გამოყენება სხვადასხვა სახის კონფლიქტურ სიტუაციებსა და ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებში	კოლექტიური მეხსიერება და იდენტობის პოლიტიკა (არჩევითი)

1.14	მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1,2

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

კულტურის კვლევების მაგისტრს სპეციალობით შეუძლია კულტურის კვლევათა სფეროში პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ემპირიული მასალის ანალიზი და ინტერპრეტაცია, საკვლევი საკითხის კონტექსტუალიზაცია, კვლევის მეთოდისა და თეორიული ჩარჩოს ადეკვატური განსაზღვრა და დასაბუთება, მასალის მოძიება, სისტემატიზაცია, კვლევის შედეგების პრეზენტაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით.

2.1	კულტურის კვლევების სფეროში არსებული ცნებებისა და კონცეფციების, ისტორიული პროცესის კულტურული კონტექსტის როლისა და მნიშვნელობის გამოყენება კულტურის კონკრეტული ფენომენების კვლევაში.	ცნებითი აპარატი და ძირითადი კონცეფციები კულტურის მეცნიერებებში ისტორიული პროცესი და კულტურის კვლევები: მეთოდოლოგიური საფუძვლები (სავალდებულო)
2.2	თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გააზრება და გამოყენება კულტურული პროცესების დაგეგმვისა და სტრატეგიების შემუშავებაში. ინტერკულტურული კომუნიკაციის სპეციფიკის, ინტერკულტურული და კომპარატივისტული მეთოდის გამოყენება კულტურათაშორისი ურთიერთობების პროცესის სირთულეების ანალიზისა და გადალახვის პროცესში. კულტურის ფენომენისადმი ინტერდისციპლინური მიდგომის, ემპირიული მასალის თავმოყრისა და ანალიზის უნარ-ჩვევების დაუფლება; კულტურათა შედარებითი კვლევის პრინციპების ათვისება და გამოყენება კვლევისა და სწავლის პროცესში	კულტურის პოლიტიკის საფუძვლები (სავალდებულო) კოლექტიური მეხსიერება და იდენტობის პოლიტიკა (არჩევითი) ინტერკულტურული კვლევები (სავალდებულო)
2.3	თეორიული და ემპირიული კვლევის მეთოდების და მათი პრაქტიკული გამოყენების ხერხების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში; კვლევის დაგეგმვის, ორგანიზების, მიღებული შედეგების	აკადემიური წერა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი (სავალდებულო)

	ზეპირი და წერილობითი გადმოცემის ფორმებისა და წესების; აკადემიურ სფეროში დამკვიდრებული ქცევის, მეტყველების, წერის, საჯარო გამოსვლის ფორმისა და სტილის ათვისება.	
2.4	აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესახებ არსებულ მოსაზრებათა და კონცეფციათა გააზრება და შეჯერება, ამ კონცეფციათა დროსთან დაკავშირება, საერთო და განსხვავებულ მახასიათებელთა გამოკვეთა. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, დისკუსიაში მონაწილეობა, აზრის მკაფიოდ და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება; ლიტერატურის მოძიება, დამუშავება, ინფორმაციის შეჯერება და შეძენილი ცოდნის პრეზენტაცია; შესწავლილი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენება ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის ანალიზისათვის; მეთოდოლოგიური მიდგომის არჩევანის დასაბუთება.	დასავლეთი და აღმოსავლეთი: შედარებითი კვლევის საფუძვლები (სავალდებულო) ბიზანტიური ცივილიზაცია (ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებანი) (არჩევითი) რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა (არჩევითი)
2.5	კავკასიასა და ბალკანეთში კულტურებისა და რელიგიების გავრცელების თანამედროვე სურათისა და ისტორიული დინამიკის, მიმდინარე პროცესების კულტურული და რელიგიური საფუძვლების გააზრება. ეთნიკური კონფლიქტების ანალიზი და მათი შედარებითი შესწავლა. ელიტების თეორიის აპლიკაცია ნაციონალიზმის კვლევების ფარგლებში. თეორიული ცოდნის გამოყენება კავკასიის პოსტ-საბჭოთა პერიოდის კონფლიქტების ანალიზში. პოლიტიკური ლიდერების როლის იდენტიფიცირება კონფლიქტურ პროცესებში.	კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები (არჩევითი) კულტურა და რელიგია კავკასიაში (არჩევითი) ეთნიკური უმცირესობების პრობლემები პოსტსოციალისტურ სივრცეში: შედარებითი ანალიზი (ბალკანეთი და კავკასია) (არჩევითი)
2.6	თანამედროვე მსოფლიოში კუტურულ იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზის უნარის გამომუშავება და მისი გამოყენება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე კომპლექსური კულტურული პროცესების შესწავლისას.	კულტურული იდენტობის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში (არჩევითი) კულტურა და მოდერნიზაცია (არჩევითი)
	მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული	უცხოური ენა

	ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.	(ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1,2

დასკვნის უნარი -

კულტურის კვლევების მაგისტრს შეუძლია მონაცემების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი სტანდარტული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით; პრობლემის გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში; საკითხების განხილვა სხვადასხვა პერსპექტივით, მკაფიოდ არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა.

კომუნიკაციის უნარი:

კულტურის კვლევების მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა ტიპის პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება, ეფექტური ურთიერთობა სასწავლო თუ სამუშაო ჯგუფში.

სწავლის უნარი:

კულტურის კვლევების მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაო გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების მოძიება და გამოყენება. მას ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, მისი თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად სრულყოფა პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; დამოუკიდებელი მუშაობა; სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები:

კულტურის კვლევების მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა, აკადემიური და ეთიკური ნორმები; იცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას; აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის, განსხვავებული კულტურებისა და რელიგიების პატივისცემა; პატივს სცემს დემოკრატიულ ფასეულობებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას **კულტურის კვლევების** სამაგისტრო პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. სწავლის შედეგების მისაღწევად, პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების,

შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.).

სტუდენტის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება, სულ მცირე, ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები:
კულტურის კვლევების მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა აქვს, იმუშაოს კულტურის პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში. როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას, მედიაპოლიტიკას კულტურის სფეროში, რეგიონული კონფლიქტების კულტურული საფუძვლებისა და მათი მოგვარების გზების ანალიზს, კულტურათა ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებას პოლიეთნიკურ, მრავალკონფესიურ და მულტიკულტურულ საზოგადოებაში.
კულტურის კვლევების მაგისტრის ხარისხის მქონეს, გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტორანტურის საფეხურზე სხვადასხვა მიმართულებით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: თან ერთვის

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ნინო ჩიქოვანი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:
ნინო ჩიქოვანი, პროფესორი
ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ივანე წერეთელი, ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
მაია ქვრივიშვილი, ასისტენტ პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ირაკლი ჩხაიძე, ასისტენტ პროფესორი, კულტურის კვლევების დოქტორი
(ბიოგრაფიები თან ერთვის)

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს–ცენტრი თსუ მე–2 და მე–5 კორპუსებში, კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახება როგორც სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე სასწავლო კურსების რიდერები და სწავლებისა და კვლევის პროცესისათვის საჭირო ელექტრონული რესურსი. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა გაცვლითი პროგრამა (მაგალითად, ჩვენი სტუდენტები ერთი ან

ორი სემესტრის განმავლობაში სწავლობდნენ ვილნიუსის, ტარტუსა და რიგის უნივერსიტეტებში, შესაბამისად, ჩვენ თითქმის ყოველ სემესტრში გვყავს სტუდენტები დასახელებული უნივერსიტეტებიდან), საერთაშორისო სტიპენდიები; გარდა ამისა, სტუდენტები ჩართული არიან ინსტიტუტთან არსებული ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის კვლევით პროექტებში და კულტურული მრავალფეროვნების ლაბორატორიის მუშაობაში.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **კულტურის კვლევების** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **კულტურის კვლევები**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **პროფესორი ნინო ჩიქოვანი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011** (უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს №122/2011 დადგენილების საფუძველზე)
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

სავალდებულო კურსები 65 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მოსამზადება	დასკვნითი გამოცდის მოსამზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
	კვლევის მეთოდები კულტურს მეცნიერებებში[1]	**10**	**30**	**60**	**120**	**15**	**25**	**3**	**წინაპირობის გარეშე**	**I**		**ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოც.პროფ.**
	ისტორიული პროცესი და კულტურის კვლევები: მეთოდოლოგიური საფუძვლები	10	30	60	120	16	21	3	წინაპირობის გარეშე	I		ნინო ჩიქოვანი, პროფ.
	კულტურის პოლიტიკის საფუძვლები	10	30	60	120	16	21	3	წინაპირობის გარეშე		II	ქეთევან კაკიტელაშვილი,

[1] 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე აღნიშნული კურსი ცხადდებდა შემდეგი სახელწოდებით „ცნებითი აპარატი და ძირითადი კონცეფციები კულტურის მეცნიერებებში“

												ასოც.პროფ.
	აკადემიური წერა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი	10	30	60	120	16	21	3	წინაპირობის გარეშე	I		ირაკლი ჩხაიძე, ასისტ.პროფ.
	ინტერკულტურული კვლევები	10	30	60	120	16	21	3	წინაპირობის გარეშე	III		ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოც.პროფ.
	დასავლეთი და აღმოსავლეთი: შედარებითი კვლევის საფუძვლები *(მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)*	10	30	60	120	16	21	3	წინაპირობის გარეშე		II	ბეჟან ჯავახია, მოწვეული პროფ. ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოც.პროფ.
	საველე პრაქტიკა	5	-	60	45	-	18	2	წინაპირობის გარეშე	III		ივანე წერეთელი, ასოც. პროფ.
არჩევითი კურსები[2] – 25 კრედიტი (ECTS)												
	იდენტობის მოდელები საქართველოში მე-19 – მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე[3]	**5**	**15**	**30**	**60**	**8**	**9**	**3**	**წინაპირობის გარეშე**		**II**	**ქეთევან კაკიტელაშვილი**
	კულტურა და რელიგია კავკასიაში	10	30	60	120	16	21	3	წინაპირობის გარეშე	III		ნინო ჩიქოვანი, პროფ.
	კავკასიის კონფლიქტები (*დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	დავით მაცაბერიძე, ასისტ.პროფ.
	კულტურული იდენტობის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში	10	30	60	120	16	21	3	წინაპირობის გარეშე	III		ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოც.პროფ.
	1990-იანი წლების საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი	**5**	**15**	**30**	**60**	**8**	**9**	**3**	**წინაპირობის გარეშე**		**II**	**ივანე წერეთელი, ასოც. პროფ.**

[2] დასახელებულის გარდა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგანი ნებისმიერი სხვა სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნებიდან, პროგრამისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით. რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა (რუსეთისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)

[3] 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე, აღნიშნული კურსის ნაცვლად ცხადდებოდა საგანი „რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა (რუსეთისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)“

	ლიტერატურულ ტექსტებში[4]											
	კოლექტიური მეხსიერება და იდენტობის პოლიტიკა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ნინო ჩიქოვანი, პროფ.
	ეთნიკური უმცირესობების პრობლემები პოსტსოციალისტურ სივრცეში: შედარებითი ანალიზი (ბალკანეთი და კავკასია) (*ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე			დავით მაცაბერიძე, ასისტ. პროფ.
	პოპულიზმი და ნაციონალიზმი	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I-III		ირაკლი ჩხაიძე, ასისტ.პროფ.
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)2	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1/ ტესტი	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									IV	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

[4] 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე, აღნიშნული კურსის ნაცვლად ცხადდებოდა საგანი - *კულტურა და მოდერნიზაცია.*